არასამთავრობო ორგანიზაცია - SAORSA

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 2018 წლის 11 დეკემბერი

პრეამბულა

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ **ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი** მისი რექტორის **ერმილე მესხიას** სახით და მეორეს მხრივ არასამთავრობო ორგანიზაცია **"SAORSA"** მისი დამფუძნებლის ლია ფუტკარაძის სახით, ვაცნობიერებთ რა ქვეყნის განვითარებისათვის განათლების მნიშვნელობას, მის ფუნქციასა და ადგილს ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში, განათლების მიზნებს, რომელიც მოწოდებულია დააკმაყოფილოს მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნები, ვითვალისწინებთ რა ჩვენი თანამშრომლობისა და პარტნიორობის ურთიერთსასარგებლო ხასიათს, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებს, თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ დოკუმენტით განსაზღვრული მიმართულებებით.

მუხლი 1.

1. მხარეები აქტიურად ითანამშრომლებენ საერთო ინტერესების სფეროში შემავალი საკითხების კვლევაში და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში, რისთვისაც:

1.1. მოაწყობენ ერთობლივ ღონისძიებებს, სემინარებს, ლექციებს, კონფერენციებს, პროფესიონალთა შეხვედრებს და დისკუსიებს;

1.2. მოამზადებენ და გამოაქვეყნებენ სასწავლო სახელმძღვანელოებს, სტატიებს და სხვა სახის პუბლიკაციებს; (ურთიერთთანამშრომლობის პირობებში შექმნილი ინტელექტუალური შრომის პროდუქტი წარმოადგენს ორივე მხარის საკუთრებას თანაბრად);

1.3. იქონიებენ მუდმივ კონტაქტს ამ ხელშეკრულების პირობათა შესრულების უზრუნველსაყოფად;

მუხლი 2 .

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

2.1 უსასყიდლოდ უზრუნველყოფს პარტნიორს საკონფერენციო დარბაზით ან აუდიტორიებით, აგრეთვე მის ხელთ არსებული ტექნიკითა და ინვენტარით პარტნიორის მიერ დაგეგმილი საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ხასიათის ღონისძიებათა განსახორციელებლად;

2.2 გამოჰყოფს სივრცეს საკუთარ ვებ-გვერდზე რუბრიკაში „ჩვენი პარტნიორები", სადაც პარტნიორს შეეძლება განათავსოს საკუთარი ლოგო და ასევე ინფორმაცია საქმიანობის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია და ბმული საკუთარ ვებ-გვერდზე; დაწესებულების ფოიეში აუცილებლობის შემთხვევაში განათავსებს პარტნიორის ლოგოტიპს;

2.3 ითანამშრომლებს პარტნიორთან სხვა მიმართულებებით წინასწარ შეთანხმებული პირობებით.

მუხლი 3.

არასამთავრობო ორგანიზაცია "SAORSA"

3.1 როგორც პოტენციური ორგანიზატორი მოახდენს სრული ინფორმაციის წინასწარ მიწოდებას პოტენციური ღონისძიების მონაწილეებისათვის;

3.2 უზრუნველყოფს დასაქმების შესახებ ინფორმაციების სრულ მიწოდებას ასევე დამსაქმებლებთან თანამშრომლობას, შეხვედრებს, ღონისძიებებში ჩართულობას და პროცესების მონიტორინგს;

3.3 ითანამშრომლებს პარტნიორთან სხვა მიმართულებებით წინასწარ შეთანხმებული პირობებით.

მუხლი 4.

4.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

4.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არ არის განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.

4.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრულ ყველა პირობას.

მუხლი 5.

5.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით.

5.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

5.3 მემორანდუმი არ წარმოშობს მხარეთა შორის რაიმე სახის ფინანსურ ვალდებულებას ერთმანეთის მიმართ, თუ თანამშრომლობის პროცესში ასეთი სახის ურთიერთვალდებულებები წარმოიშვება, მასზე უნდა გაფორმდეს ცალკე ხელშეკრულება;

5.4 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

5.5 მემორანდუმის საფუძველზე წარმოშობილი ნებისმიერი სახის დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებით, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში - სასამართლოს გზით;

არასამთავრობო ორგანიზაცია "SAORSA" დამფუძნებელი
ლ. ფუტკარაძე

საკონტაქტო ინფორმაცია
ტელ: (+995) 593 32 57 96
e-mail saorsageorgia@gmail.com

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
ე. მესხია

საკონტაქტო ინფორმაცია
ტელ: (+995) 558 10 14 34
e-mail: ermile_mesxia@mail.ru